

შპს „მოდი მოდი მოდი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული
წლისათვის

თბილისი

2023

შპს „მოდო მოდო მოდო“

შინაარსი

შპს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	12
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	144
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	144
7. ფინანსური აქტივები	144
8. გადავადებული საგადასახადო აქტივები	155
9. გრძელვადიანი ინვესტიციები	155
10. ძირითადი საშუალებები	166
11. არამატერიალური აქტივები	177
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	188
13. მიღებული ავანსები	188
14. ფინანსური ვალდებულებები.....	188
15. შემოსავალი მომსახურებიდან	199
16. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	199
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	199
18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	20
19. მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან.....	20
20. პირობითი ვალდებულებები	20
21. ოპერაციები დაკავშრებულ მხარეებთან	211
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	211
23. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი	211

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი			
სახსრების ექვივალენტები	5	82,338	112,284
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	596,136	636,248
გაცემული ავანსები		10,768	63,000
ფინანსური აქტივები	7	637,754	425,175
გადავადებული საგადასახადო აქტივები	8	149,764	86,802
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		7410	40,882
მარაგები		2,321	2,321
სულ მიმდინარე აქტივები		1,486,491	1,366,713
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	9	395,876	117,068
ძირითადი საშუალებები	10	742,493	712,727
არამატერიალური აქტივები	11	1,483	1,801
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,139,852	831,596
სულ აქტივები		2,626,343	2,198,310
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	589,424	282,181
მიღებული ავანსები	13	138,271	169,962
ფინანსური ვალდებულებები	14	144,668	176,721
სულ მიმდინარე ვალდებულებები		872,363	628,864
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ვალდებულებები	14	521,656	371,119
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		521,656	371,119
სულ ვალდებულებები		1,394,019	999,983
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1,232,324	1,198,327
სულ საკუთარი კაპიტალი		1,232,324	1,198,327
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,626,343	2,198,310



 ლაშა წოწორია
 დირექტორი
 31.12.2023

ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	15	7,611,599	7,300,067
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	16	(6,920,406)	(6,656,576)
		691,193	643,491
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(614,238)	(284,103)
ფინანსური დანახარჯები	14	(20,277)	(27,234)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	18	24,022	1,273,636
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	(26,554)
მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	19	(46,193)	(77,024)
მოგება დაბეგვრამდე		34,507	1,502,183
მოგების გადასახადის ხარჯი		(510)	(129,640)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		33,997	1,372,543
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		33,997	1,372,543



 ლაშა ჯოჯორია
 დირექტორი
 31.12.2023

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2020		565,248	565,248
პერიოდის მოგება/(ზარალი)		1,372,543	1,372,543
დივიდენდის გაცემა		(739,464)	(739,464)
31.12.2021	-	1,198,327	1,198,327
პერიოდის მოგება/(ზარალი)		33,997	33,997
დივიდენდის გაცემა		-	-
31.12.2022	-	1,232,324	1,232,324



 ლაშა ჩიქორია
 დირექტორი
 31.12.2023

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2022	31.12.2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	64,109.00	287,670.00
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-283,153.00	-543,242.00
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	213,650.00	133,735.00
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-5,394.00	-121,837.00
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-24,552.00	-45,248.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	112,284.00	279,369.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	82,338.00	112,284.00



ლაშა ჯოჯორია

დირექტორი

31.12.2023

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მოდო მოდო მოდო“ (ს/ნ 435433620) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. მარტვილი, 9 აპრილის ქუჩა, N2, ბინა 4. კომპანიის ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორი, ცუცხვათის ქ 27. კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და დირექტორია ლაშა წოწორია (პ/ნ 29001039301).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა იურიდიული და მეწამე ფიზიკური პირებისათვის ფრილანსერების მიერ შესრულებული სამუშაოს მიწოდება.

კომპანია ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს ევროში და ხარჯავს საქართველოში ლარში. კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების უმრავლესობაც ევროშია წარმოდგენილი. შესაბამისად, კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ევრო. თუმცა კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ლარში. კომპანია სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ წარსადგენ ვალუტას იმიტომ იყენებს, რომ მისი აზრით, ეს ვალუტა უფრო აქტუალურ და სათანადო ინფორმაციას აწვდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რადგან ანგარიშგების დროს ქართული ლარის წარსადგენ ვალუტად გამოყენება ქართულ კომპანიებს შორის გავრცელებული პრაქტიკაა.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

გაცემული სესხები

გაცემულ სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები

სხვა საწარმოს კაპიტალში განხორციელებული ინვესტიცია ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შპს „დრაგონფლიპ მარკეტფლეის“-ში (ს/ნ 405342856) 50 % წილს. განხორციელებული ინვესტიცია შეადგენს 117,068 ლარს

2022 წლის ნოემბერში კომპანიამ შეიძინა შპს ვუდსი-ის 50%, განხორციელებული ინვესტიცია შეადგენს 278,808 ლარს.

სასესხო ვალდებულებები

მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

უმრავი ქონება	50 წელი
ოფისის აღჭურვილობა	8 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	8 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-8 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად 15% ოდენობით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში მიღებული საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამ-დე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021
1 USD / GEL	2.7020	3.0976
1 EUR / GEL	2.8844	3.5040

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იხვერება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა არ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, თუმცა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მის ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას გარიგების ფასით, თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,118	22,734
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	29,405	43,373
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	49,815	46,177
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-
სულ	82,338	112,284

კომპანიის ფულადი სახსრები მოიცავს მოკლევადიან ინვესტიციებსაც, რომლის დაფარვის ვადა ნაკლებია 3 თვეზე.

კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	592,568	631,739
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	3,568	4,510
სულ	596,136	636,248

კომპანიის დებიტორებს წარმოადგენენ როგორც იურიდიული აგრეთვე მეწარმე ფიზიკური პირები.

7. ფინანსური აქტივები

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	633,477	420,480
მისაღები პროცენტები	4,277	4,695
სულ	637,754	425,175

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

კომპანიას მოკლევადიანი სესხი გაცემული აქვს იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე. სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 5 პროცენტს.

8. გადავადებული საგადასახადო აქტივები

	31.12.2022	31.12.2021
გადავადებული საგადასახადო აქტივები	149,764	86,802
სულ	149,764	86,802

კომპანიის გადავადებული საგადასახადო აქტივი წარმოქმნილია გაცემულ სესხებზე (491,880 ლარი) გადახდილი მოგების გადასახადისაგან, რომლის უკან დაბრუნების შემთხვევაშიც კომპანია მოახერხებს აღნიშნული გადახდილი გადასახადის უკან დაბრუნებას. მიმდინარე საანგარიშგებო წელს კომპანიას ჰქონდა მსგავსი შემთხვევები როდესაც სესხის დაბრუნებასთან ერთად დაიბრუნდა გადახდილი მოგების გადასახადიც. ამიტომ კომპანია მიმდინარე პერიოდის ხარჯად არ აღრიცხავს გაცემულ სესხებზე საგადასახადო კანონმდებლობით დარიცხულ და გადახდილ მოგების გადასახადს.

9. გრძელვადიანი ინვესტიციები

	31.12.2022	31.12.2021
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	395,876	117,068
სულ	395,876	117,068

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

	უძრავი ქონება	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავტო და სხვა ინვენტარი	სულ
საბალანსო ღირებულება					
დეკემბერი 31, 2020	627,354.00	5,291.00	52,454.00	12,919.00	698,017.00
მატება	21,942.00	181.00	21,846.00	6,919.00	50,887.00
კლება					
დეკემბერი 31, 2021	649,296.00	5,472.00	74,300.00	19,838.00	748,904.00
მატება	38,288.11	59.24	14,224.28	6,195.00	58,766.63
კლება					
დეკემბერი 31, 2022	687,584.11	5,531.24	88,524.28	26,033.00	807,670.63
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
დეკემბერი 31, 2019	-	(180.00)	(1,938.00)	(874.00)	(2,992.00)
მიმდინარე წლის ცვეთა	(2,750.00)	(611.00)	(5,191.00)	(1,501.00)	(10,052.00)
ცვეთის ამობრუნება გასვლისებზე	-	-	134.00	-	134.00
დეკემბერი 31, 2020	(2,750.00)	(791.00)	(6,995.00)	(2,374.00)	(12,910.00)
მიმდინარე წლის ცვეთა	(12,583.00)	(668.00)	(8,051.00)	(1,965.00)	(23,267.00)
ცვეთის ამობრუნება გასვლისებზე	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	(15,333.00)	(1,459.00)	(15,046.00)	(4,339.00)	(36,177.00)
მიმდინარე წლის ცვეთა	(15,433.59)	(695.13)	(9,594.01)	(3,402.00)	(29,124.73)
ცვეთის ამობრუნება გასვლისებზე	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2022	(30,766.59)	(2,154.13)	(24,640.01)	(7,741.00)	(65,301.73)
ნარჩენი ღირებულება					
დეკემბერი 31, 2019	-	1,895.00	25,440.00	11,745.00	39,080.00
დეკემბერი 31, 2020	624,604.00	4,500.00	45,459.00	10,545.00	685,108.00
დეკემბერი 31, 2021	633,963.00	4,013.00	59,254.00	15,498.00	712,728.00
დეკემბერი 31, 2022	656,817.00	3,377.00	64,007.00	18,292.00	742,493.00

კომპანიის უძრავი ქონება ბანკში იპოთეკით არის დატვირთული.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

11. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამა	სულ
საბალანსო ღირებულება		
დეკემბერი 31, 2020	2,119.00	2,119.00
მატება / (კლება)	-	-
დეკემბერი 31, 2021	2,119.00	2,119.00
მატება / (კლება)	-	-
დეკემბერი 31, 2022	2,119.00	2,119.00
დეკემბერი 31, 2021		
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(318.00)	(318.00)
დეკემბერი 31, 2022	-	-
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(318.00)	(318.00)
დეკემბერი 31, 2022	(636.00)	(636.00)
ნარჩენი ღირებულება		
დეკემბერი 31, 2020	2,119.00	2,119.00
დეკემბერი 31, 2021	1,801.00	1,801.00
დეკემბერი 31, 2022	1,483.00	1,483.00

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	19,215	49,978
სხვა ვალდებულებები	570,209	232,203
სულ	589,424	282,181

13. მიღებული ავანსები

	31.12.2022	31.12.2021
მიღებული ავანსები	138,271	169,962
სულ	138,271	169,962

მიღებული ავანსები წარმოადგენს კომპანიისათვის კლიენტების მიერ უცხოურ ვალუტაში წინასწარ გადმორიცხულ თანხებს. მიღებული ავანსები არაფულადი ვალდებულებებია და აღრიცხულია ოპერაციის თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის კურსით ლარში, რომლის გადაფასებაც არ ხორციელდება.

14. ფინანსური ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
მიღებული მოკლევადიანი სესხები	144,668	140,160
მიღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	71,141	36,561
მიღებული გრძელვადიანი სესხი	450,515	371,119
სულ	666,324	547,841

ფინანსური დანახარჯები

	2022	2021
საპროცენტო ხარჯები	20,277	27,264
სულ	20,277	27,264

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

კომპანიას მოკლევადიანი სესხი მიღებული აქვს იურიდიული პირებისაგან. სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 5 პროცენტს.

მიღებული გრძელვადიანი სესხი წარმოადგენს საქართველოს ბანკიდან გრაფიკულ აღებულ სესხს. სესხის დაფარვის ვადაა 2030 წლის 1 ოქტომბერი. სესხზე წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10%-ს.

15. შემოსავალი მომსახურებიდან

	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	7,611,599	7,300,067
სულ	7,611,599	7,300,067

შემოსავალი მომსახურებიდან წარმოადგენს იურიდიული და მეწამე ფიზიკური პირებისათვის ფრილანსერების მიერ შესრულებული სამუშაოს მიწოდებას. შემოსავლები ძირითადად მიიღება ევროში.

16. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2022	2021
ფრილანსერებისთვის გადახდილი ანაზრაურება	3,802,086	5,474,243
შეძენილი მომსახურების ხარჯი	3,118,320	1,182,333
სულ	6,920,406	6,656,576

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	459,089	156,379
იჯარის ხარჯი	-	11,492
საკონსულტაციო ხარჯი	632	20,384
საკომუნიკაციო ხარჯები	8,350	2,227
კომუნალური ხარჯები	3,450	3,124
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	29,442	23,585
საბანკო ხარჯები	57,209	45,728
წარმომადგენლობითი ხარჯები	13,210	2,350
ქონების გადასახადის ხარჯი	7,335	6,989
სხვა ხარჯები	35,521	11,843
სულ	614,238	284,103

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	12,184	22,326
შემოსავალი დივიდენდებიდან	-	993,978
მოგება ინვესტიციების გაყიდვიდან	-	248,052
სხვა შემოსავალი	11,838	9,280
სულ	24,022	1,273,636

19. მოგება-ზარალი საგალუტო კურსის ცვლილებიდან

	2022	2021
კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(24,552)	(45,248)
კურსის ცვლილების გავლენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	(121,106)	(61,404)
კურსის ცვლილების გავლენა ფინანსურ აქტივებზე	(128,889)	(70,142)
კურსის ცვლილების გავლენა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე	133,187	6,157
კურსის ცვლილების გავლენა ფინანსურ ვალდებულებებზე	95,167	93,613
სულ	(46,193)	(77,024)

20. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დაუფარავი ნაშთები:

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები აქციონერის წინაშე	3,568	4,510
ვალდებულებები აქციონერის წინაშე	102,168	514
შვილობილ/მეკვამირე კომპანიაზე გაცემული სესხი		175,200
შვილობილ/მეკვამირე კომპანიიდან მიღებული სესხი	115,376	140,160

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები:31

	2022	2021
აქციონერზე გაცემული ხელფასი	4,043	10,627
აქციონერისგან მიღებული პროცენტი	-	11,296

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

23. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2023 წლის 31 დეკემბერს.